საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2676 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „მედექსპერტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №2-ში (ნაკვ. 04/012) მდებარე შენობა-ნაგებობა №1-№5-№6-ის სარდაფის ნაწილი 706.60 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №5-№6-ის II სართულზე 393.05 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 275 000 (ორას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „მედექსპერტს“ (ს/კ: 205042238).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 30 (ოცდაათი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაში ან მის ნაწილში სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან არანაკლებ 20 (ოცი) წლის განმავლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაში ან მის ნაწილში სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**